ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო87.8722276001**
თარიღი:**03/10/2022**

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №9

ქ. ახმეტა
28 სექტემბერი, 2022 წელი

სხდომის თავმჯდომარე: იოსები ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ: დ.ავაზაშვილი, გ.ქიბროწაშვილი, გ.ონიაშვილი
გ. შაშიაშვილი, კ. მამულაშვილი, ბ.კაიშვილი
რ.გახუაშვილი, გ.მამუჩარაშვილი, შ.ტერტერაშვილი

სხდომა გაიხსნა 11^{00} საათზე.

სხდომის თავმჯდომარე იოსები ქარუმაშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

/მომხსენებელი - მ.მაისურაძე/

2. **საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;**

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხუთი ერთეული უძრავი ქონების (სოფლის ამბულატორიები) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N49-ში, მე-3 სართულზე მდებარე 22.4 კვ.მ ფართობის (ს.კ50.04.47.069) ახმეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი -თეიმურაზ შაშიაშვილი/

5. ფიზიკური პირის ელისო ფხალაძის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 50.04.43.072) შეძენის თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 135 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს.კ - 50.04.42.400) ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

7. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. მატანში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 288 კვ.მ ფართობის (ს.კ 50.11.36.050) ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიურისაფასურის განსაზღვრის შესახებ

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

8. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის 219 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.04.35.297) ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს:

დადგენილების მიზანია მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებით, 2022 წლის 14 იანვრის #51 განკარგულებით, 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებით გამოყოფილი თანხების ასახვა, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების (ფინანსური ხელშეწყობის თაობაზე) საფუძველზე გამოყოფილია თანხის ასახვა.

მომხსენებელმა ისაუბრა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებისა და გადასახდელების ცვლილების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

9 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

<u>მოისმინეს:</u> საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო დამსწრე წევრებს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხუთი ერთეული უძრავი ქონების (სოფლის ამბულატორიები) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო საკითხი:

განხორციელდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 (**ხუთი) ერთეული უძრავი ქონების - სოფლის ამბულატორიების** სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში:

ა) სოფელ ომალოში მდებარე ხალაწნის ადმინისტრაციული ერთეულის ამბულატორიის შენობა და მასზე დამაგრებული 761 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, - საკადასტრო კოდი 50.07.33.347;

ბ) სოფელ მატანში მდებარე ამბულატორის შენობა და მასზე დამაგრებული 662 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, - საკადასტრო კოდი 50.11.38.211;

გ) სოფელ შახვეტილაში მდებარე ამბულატორის შენობა და მასზე დამაგრებული 270 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, - საკადასტრო კოდი 50.13.32.327;

დ) სოფელ ჯოყოლოში მდებარე ამბულატორიის შენობა და მასზე დამაგრებული 657 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, - საკადასტრო კოდი 50.07.31.243;

ე) სოფელ საკობიანოში მდებარე ამბულატორიის შენობა და მასზე დამაგრებული 159 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, - საკადასტრო კოდი 50.05.33.093.

1. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

9 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N49-ში, მე-3 სართულზე მდებარე 22.4 კვ.მ ფართობის (ს.კ50.04.47.069) ახმეტის საგანმახათლებლო რესურსცენტრისთვის პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი:

განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 135 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი - 50.04.42.400) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის:

ა) წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 7%-ით -798.00 (შვიდას ოთხმოცდათვრამეტი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 5 (ხუთი) წლით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

9 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

<u>მოისმინეს</u>: ფიზიკური პირის ელისო ფხალაძის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 50.04.43.072) შეძენის თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი ბიუროს წევრებს:

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს ახმეტის მუნიციპალიტეტის სახელით 15000 (ხუთმეტი ათასი) ლარად შეიძინოს ფიზიკური პირის - ელისო ფხალაძის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 293 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საკადასტრო კოდია 50.04.43.072.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

9 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

<u>მოისმინეს</u>: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 135 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს.კ - 50.04.42.400) ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი დამსწრე წევრებს:

განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 135 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი - 50.04.42.400) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის:

ა) წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 7%-ით -798.00 (შვიდას ოთხმოცდათვრამეტი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 5 (ხუთი) წლით.

ბიურომ იმსჯელა პროექტის შესახებ: არ ვიცით, რის გაკეთებას აპირებს განმცხადებელი. მოთხოვნილი ადგილი მდებარეობს პარკის მიმდებარედ. იქ მოწყობილმა კონსტრუქციამ შეიძლება დაამახინჯოს პარკის იერსახე. ამავე დროს, აღნიშნული ადგილი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ავტომანქანების პარკირებისათვის.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება: შესწავლის მიზნით საკითხი ამოღებული იქნას დღის წესრიგიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა ბიუროს გადაწყვეტილებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. მატანში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 288 კვ.მ ფართობის (ს.კ 50.11.36.050) ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს:

განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. მატანში მდებარე შენობის (საკადასტრო კოდი - 50.11.36.050) I სართულზე მდებარე 288 კვ.მ ფართობის ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის:

ა) წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით **-** 2650.00 (ორიათას ექვსას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 2(ორი) წლით.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება: უკეთ შესწავლის და დაზუსტების მიზნით საკითხი ამოღებული იქნას დღის წესრიგიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა ბიუროს გადაწყვეტილებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის 219 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.04.35.297) ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს:

განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის 219 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.04.35.297) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით გახკარგვის:

ა) წლიური ქირის საწყისი საფასური საწყისი საპრივატიზებო საფასურის 7%-ით - 140.00 (ასორმოცი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 5 (ხუთი) წლით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ბიუროს სხდომა დაიხურა 12^{30} საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი